



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/232

„28“ დეკემბერი 2015 წ.

ბ ა ღ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მოსამართლის
სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ

1. საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტი თანდართული სახით.
2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტი

მუხლი 1. არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტის პირობები

არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მოსამართლე ვალდებულია გავლილი ჰქონდეს შემდეგი ტრენინგები:

- ა) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;
- ბ) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები;
- გ) ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები;
- დ) ძალადობა ბავშვებზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე;
- ე) დაზარალებული და მოწმე ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებანი.

მუხლი 2. ტრენინგების მოდულის მიზნები

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოდულის მიზანია, მოსამართლეებს გააცნოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში დანერგილი სიახლეები, განსაკუთრებული მიდგომები და სტანდარტები.

2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების მოდულის მიზანია, მოსამართლეებს გააცნოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტები და ნორმები.

3. ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტების მოდულის მიზანია, მოსამართლეებს გააცნოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფსიქოლოგიური ასპექტები, ბავშვის განვითარების, ასაკობრივი თავისებურებებისა და ტრავმული გამოცდილების გავლენა ანტისოციალური და კრიმინალური ქცევის ჩამოყალიბებაზე.

4. ძალადობა ბავშვებზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე მოდულის მიზანია, მოსამართლეებს გააცნოს ძალადობის ძირითადი ფორმები და ძალადობაგანცდილი ბავშვის ფიზიკური და ქცევითი ინდიკატორები, ძალადობით გამოწვეული სტრესისა და ტრავმის გავლენა ბავშვის განვითარებაზე.

5. დაზარალებული და მოწმე ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებანის მოდულის მიზანია მოსამართლეებს გააცნოს დაზარალებულ და მოწმე ბავშვთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ასპექტები.

მუხლი 3. მოსამართლის სპეციალიზაციის პროცესის უზრუნველყოფა

1. მოსამართლეებისათვის ამ გადაწყვეტილების პირველი მუხლით გათვალისწინებული ტრენინგების ჩატარებას უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

2. იუსტიციის უმაღლესი სკოლა ასევე უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთათვის პირველი მუხლით გათვალისწინებული ტრენინგების ჩატარებას.

3. ტრენინგების გავლის შემდეგ მოსამართლეს გადაეცემა ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ტრენინგთა გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

4. იუსტიციის უმაღლესი სკოლა ტრენინგების კურსის ბოლოს ამზადებს ანგარიშს, რომელშიც აისახება ინფორმაცია სერტიფიცირებულ მოსამართლეთა შესახებ, ტრენინგის მონაწილეთა უკუკავშირის ანალიზი, მონაწილეთა დასწრების შედეგები, ასევე პროგრამის განხორციელების პარტნიორთა დაკვირვებების შედეგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მომზადებული ანგარიში წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.